ნიანგი

14

ISSN 0132-6015

გამოცემის, 56-ე წელი, (№ 1552)· ივლისი 1979, ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ა. კანდელაკისა

— ასე უსინდისოდ რომ მატყუებ, ხედავ რამდენი ხალხი დგას ჩემს უკან?!

— ჩემს უკანაც დგანან!

ნახ. მ. აბაშიძისა

— მოგვეჭრა თავი და ეგ არის!
— რავა, სხვა რამის იმედი გქონდა?!

კულინარი სიძის წერილი სიდედრ-სიმამრს

მე თქვენგან ბევრი **სიტკბო** მახსოვს და არ მინდოდა, **გამემწარებინეთ**, მაგრამ, რა ვქნა?! თქვენი ქალიშვილი, ამ ბოლო დროს, ძალიან **ამლაშებს!**

გუშინწინ **ლობიო** მიწოდა, გული **ჩამეთუთქა,** მაგრამ ხმა არ გამიცია, **ჩავყლაპე.** დღეს დილით ბავშვები **დაბეგვა,** დედაჩემი **გაპუტა.** მამაჩემი **გაცხარდა:** რა ამბავში ხარ, ოჯახს **დომხალივით** რად მირევო!. ახლა იმას შეუკეთა — შენ შენს **გოგრას** მოუარე, თორემ **კარტოფილივით გაგფცქვნიო! ენა გადამეყლაპა, ჯიგარი დამეწვა;** არც ვაციე და არც **ვაცხელე, ლავაშივით გაგაბრტყელებ**-მეთქი! **ყურებზე ხახვი არ დამაჭრაო!** ცხვირიდან **ძმარს** გადენ-მეთქი. **შემწვარი გოჭივით** დაკრიჭა კბილები. ეს კი ველარ **მოვინელე,** დავიდე და **დავზილე. დაზელვის** შემდეგ **მოლბა.**

ადრე არ ჰქონდა ასეთი **მჟავე** ხასიათი. ვერ გავიგე, ასე რამ **გააწიწმატა,** რას გვემართლება?! რომ შევირთე, **„სუხარივით“** იყო გამხმარი. ორ თვეში **კუპატივით** გახდა. ლოყები **„კულიჩივით“ გაუფუვდა. საჭმელზე** არ ზრუნავს და **სასმელზე** — ქვაცა აქვს და **კაკალიც.** მე მგონი, ჩემმა **გამომცხვარმა ხაჭაპურებმა** აწყინა. თუ ეგრეა, ორ დღეში გამოგიგზავნით და ჭამოს თქვენი **გამომცხვარი ხაჭაპურები!**

P. S. **ბადრიჯან!** ხომ იცი, ცოლისძმებში ყველაზე **გემრიელ** კაცად შენ მეგულები! ცოტა დაარიგე შენი **ენაპილპილიანი** და!

თქვენი სიძე **კეუერა მჟავია.**

წერილი იპოვა **ნიკოლოზ იოსებიძემ**

განმარტებითი ლექსიკონი

დიპლომი — მრგვალი ბეჭდით დადასტურებული საბუთი, რომ შენ ხარ. რაც ხარ.

დახასიათება — ისედაც კარგად რომ გიცნობენ და მაინც შენი ხელით დაწერილს რომ გთხოვენ.

ყურები — თავის გამაწონასწორებელი საშუალებები.

უცხვირპირო — ზოგიერთს ორივე რომ აქვს და მაინც არ უჯერებენ.

ენა — მოძრავი საბუთი, რომ მუნჯი არა ხარ.

ოჯახი — ადგილი, სადაც ბავშვებიც თავზე გასხედან.

თეიმურაზ ლანჩავა

უბრალოდ მიპატიჟება

მე ყოველგვარი ტრაფარეტიზმის მტერი ვარ. მოჭამა დრო ხომ? მოგჭამა ჭირი. მოეშვი! მიყევი ცხოვრებას ფეხდაფეხ! მოდაა? ჩაიცვი მოდაზე. წადი თეატრში თუ ოპერაში სვიტერით და ქუსლმოქცეული ფეხსაცმლით...

ჩვენ მაინც, ეს მარად ახალგაზრდა საშუალო თაობა — 40-50 წლის ახალგაზრდა პოეტები, მუსიკოსები, იმედის მომცემი პასუხისმგებელი მუშაკები და ა. შ. — რაც მაღალსართულიან სახლებში გადავედით, ყველაფერს მაღლიდან დავუწყეთ ყურება. ეს ასე უნდა იყოს, ის — ისე! რას გავს ის გამოპრანჭული (რუსთაველის პროსპექტზე გამოსული) გატიტვლებული „ბოეში“, პატრონი არ ჰყავს?!

მოეშვი, ბატონო, ჩამოდი ამ ცოდვილ დედამიწაზე და მოიქეცი ისე როგორც სხვები იქცევიან, იცხოვრე ისე როგორც ცხოვრობენ სხვები:

— მიდი ქორწილში და კინოში დაგვიანებით (რათა ყველა წამოშალო ადგილიდან).

— სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვის დაბადების დღეზე მიბრძანდით სამარკო კონიაკით და ექსტრა არყის ბოთლებით ხელდამშვენებული.

— პლაჟზე (გინდა შავი ზღვისა იყოს და, თუ გნებავს, თბილისის ზღვისა) გაბრძანდი თითქმის დედიშობილა.

— წვეულებაზე წვერგაუპარსავი და მიწვევის გარეშე უცებ დაანცხერი თავს მასპინძლებს რამდენიმე კაცის თანხლებით (ეფექტისათვის!).

სიტყვამ მოიტანა! ა, ისე, კაცმა რომ თქვას (თუ გნებავთ, ქალმა...) რა მოხდება შენს ახლობელთან — მეგობართან, ნათესავთან წვეულებაზე ყოველგვარი ოფიციოზის გარეშე რომ მიხვიდე? ან ისინი მოვიდნენ შენთან. ამიტომ უთქვამთ ჩვენს ბრძენ წინაპრებს „მისვლა-მოსვლა“, თორემ უბრალოდ რომ არ სდომებოდათ, მაშინ „მიბრძანებ-მობრძანებას“ იტყოდნენ. აგერ ახალგაზრდები რა უბრალოდ ჩაცმულ-გაბურძგნილნი, ჩამოხეულ-გადახუნებულნი დადიან ქუჩებში, პროსპექტებზე, ჰოდა, რა შავდება?! შავდება კი არა, პირიქით, მუხლები უთეთრდებათ!

აი, რატომ გადავწყვიტე მეც თანამედროვე სტილით თავმდაბლურად მომეპატიჟებინა ნაცნობ-მეგობრები ჩემი ამ ქვეყანაზე გაჩენის 40 წლისთავის აღსანიშნავად.

მივუჯექი ტელეფონს, ავიღე ყურმილი და უბრალოდ დავრეკე.

— აივენგო, მოკიდე ხელი შენს გურანდუხტს და ახლავე ჩემთან გამოცხადდით... არ დამიწყო ახლა ამბავი, როგორცა ხართ, მასევე წამოდით... გაიგე?!

— კი მაგრამ, რა ამბავია... — სიტყვის ჩაკერება სცადა აივენგომ, მაგრამ აღარ ვაცალე და ყურმილი დავუკიდე. რად უნდა ახსნა-განმარტება ესა მაქვს, ისა მაქვს. მოვა და გაიგებს. ასეა ახლა წესი!

შემდეგი ნომერი ავკრიფე.

— ვამეხ, შენ და კამილია ახლავე წამოდით ჩემთან, ეგრევე, როგორც ხართ, არ დამიწყოს კამილიამ პრანჭვა! ბავშვებიც გამოიყოლეთ!

მოპატიჟება გაგრძელდა. ბოლოს, დაღლილმა და კმაყოფილმა ყურმილი ვადაში გადამსხვრეული ხმალივით დავაგდე ტელეფონზე და სავარძელს მივესვენე.

სტუმრები ფათიფუთით გამოცხადდნენ (ესეც პუნქტუალობის ერთ-ერთი საშუალებაა...).

ოღონდ ჩემს იუბილეზე შეკრებილნი მეტად ექსცენტრულად გამოიყურებოდნენ.

აივენგოს ლურჯი სპორტული პიჟამო ეცვა.

გურანდუხტი ჭრელ ბრაზილიურ ბლუზაში და თეთრ „ხტეტსონის“ ჯინსებში იყო ჩაჭედილი.

ვამეხს ერთტონივით ჰქონდა აბურძგნილი გასაკრეჭ-გასაპარსი თავ-პირი.

მისი ცოლი კამილია მადამ ბატერფლაის კიმონოთი დაფრიალებდა.

ქალ-ვაჟი ხაკისფერი შორტებით მოყვნენ...

ხოლო ჩემი ძმა ჭიჭიკო და მისი ვაჟიშვილი ლეონარდო „ეზოდან“ პირდაპირ ბუცებითა და ტრუსებით გადმოვიდნენ (ნამდვილად ეტყობოდათ, რომ ფეხბურთის სათამაშოდ ემზადებოდნენ...).

ჰოდა, ასე არ ჯობს?!

ზ. ყორღანაშვილი

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ფული და პროტექტორი თუ არ გააჩნია, მარტო ცოდნის იმედი აქვს?!

დაბეჭდილი წერილების კვალდაკვალ

„სარჩევრის დუმილი და ლალადისი“ — ასეთი სათაურით ჟურნალ „ნიანგის“ მე-3 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში მხილებული იყო საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები „თბილხილბოსტანვაჭრობის“ ქსელში.

სავაჭრო გაერთიანება „თბილხილბოსტანვაჭრობის“ დირექტორი ამხ. გ. თელია გვატყობინებს, რომ **წერილში მოტანილი ფაქტები დადასტურდა.**

მდგომარეობის გამოსასწორებლად გატარდა მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებანი.

„თბილხილბოსტანვაჭრობის“ ოქტომბრის რაიონული განყოფილების მუშაობა აყვანილია კონტროლზე.

—:—:—

საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტებს ამხელდა, აგრეთვე, ჩვენი ჟურნალის მე-9 ნომერში დაბეჭდილი წერილი — **„ეპიდემია“.**

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს კიროვის რაიკვებვაჭრობის დირექტორი ამხ. ა. გვიმრაძე გვწერს, რომ **ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.**

საკითხი განხილული იქნა რაიკვებვაჭრობის დირექციასთან არსებული დანაშაულის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევების ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების კომისიის სხდომაზე. **№ 9 სასურსათო მაღაზიის გამყიდველ ფ. [illegible]ძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო № 33 მაღაზიის გამყიდველს ა. ჯანიაშვილს საყვედური. გაფრთხილებულია № 33 მაღაზიის გამგე გ. ელიოზაშვილი.**

მიღებულია ზომები ანალოგიური შემთხვევების აღმოსაფხვრელად.

—:—:—

„წერილი საგარეჯოდან“ — ასეთი სათაურით „ნიანგის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში მხილებული იყო საგარეჯოს სტამბის რემონტის გაჭიანურების ფაქტი.

სახალხო დეპუტატების საგარეჯოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. მჭედლიშვილმა რედაქციას მოსწერა, რომ **წერილში მხილებული ფაქტი მთლიანად დადასტურდა.**

საგარეჯოს სარემონტო კანტორა უახლოეს დროში მთლიანად დაამთავრებს შენობის სარემონტო სამუშაოებს.

გატარებულია, აგრეთვე, ღონისძიებანი სტამბის მუშათა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

მეცნოზათ? ანუ მგრე არ არის თაკარ!

ზოგიერთი უხეირო ხელმძღვანელი მომთხოვნელობის ცნებაში გულისხმობს მკვახე სიტყვა-პასუხს. უხეშობასა და ხელქვეითის ადამიანური ღირსების შელახვას.

უხეშობა და შეურაცხყოფა ვერასოდეს ვერ მოგვცემს სასიკეთო შედეგს.

გაზეთებიდან

ხმას გასცემ და — მოეშვით
მაგ ზღაპრებს და მაგ იგავებს.
საყვედურებს ლხენით გიწერს,
მადლობებზე — თავს იკავებს...

მითითებებს, გაფრთხილებებს
ხელქვეითებს არ აშორებს.
მუქარით და თითის ქნევით
დაურიგებს თანამშრომლებს...

სულ უწუნებს გაკეთებულს,
გაჰყვირის და იმუქრება
და ხალისი მუშაობის
გვიშავდება, გვიმუქდება.

თავს გვამადლის — სად მოვედი,
რა მინდოდა ამ ოხრებში...
ყველას ლანძღავს ხოლო თვითონ
თავს კარგად გრძნობს სამოთხეში.

ხმას გასცემ და
— მოეშვით
მაგ ზღაპრებს და
მაგ იგავებს...
საყვედურებს ხელათ გიწერს,
მადლობებზე — თავს იკავებს...

შოთა ხოდაშნელი

ნახ. ი. ჟეინაშვილისა

უსიტყვოდ

უნდა ვიცხოვროთ მოდურად!

ყველაფრის მოდა არსებობს: მოდა ჩაცმის და დახურვის,
მოდა უფროსად გაზრდის, ჩალიჩისა და ფაფხურის,
მოდა სკამების დაპყრობის დრო-ჟამის გადაფასებით,
ძველი უფროსის ლანძღვის და ახალთან დამეგობრებით.
მოდა პაემნის დანიშვნის და — სიყვარულის, დამწველის,
ქორწილის მერე, სამ დღეში გაყრის და ხელის გაწერის.
მოდა ქალაქად ჩამოსვლის (როდესაც კარგავს მამა შვილს),
მოდა ნიდბების ტარების, დღეში ცხრა როლის თამაშის.
მოდა ხელფასით ცხოვრების (ზოგისთვის, ისიც დროებით),
მოდა საჭირო კაცებთან უეცრად დაახლოების.
მოდა სხვის ხარჯზე სილაღის და მოდა მუქთად გაძღომის,
„გაზ-ოცდაათის“ საყიდლად სიმამრთან საქმის ჩაწყობის...
მოდა საქონლის დამალვის, დახლთან ყველაფრის „მოსპობის“,
დახლის ქვეშ ხელის ფათურის, მერე კი — ხელის მოთბობის.
მოდა შეძენის, მოხვეჭის (მეშჩანურ სულისკვეთებით),
მოდა საქმოსნად გაზრდის და ფულის „ლევად“ კეთების.
მოდას ფეხდაფეხ მივყვებით, ვიქეცით მოდის მონებად,
გუშინწინ რასაც იცვამდი — დღეს აღარ მოგეწონება!
გუშინ რომ ყოფილ ხელმძღვანელს უქებდი დისერტაციას,
დღეს, თუკი მოხსნეს, იყვირე: „ეს რა უნიჭო კაცია!“
გუშინ კაცს ყვავს რომ ეძახდი, გამგედ დაგიხვეს ის „ყვავი?“
იტირე: „შევცდი, ბრიყვი და გამოუცდელი ვიყავი!“
მოდა ყოველდღე იცვლება და მას არა აქვს საზღვარი,
ზოგს თვით მოდა ცვლის ხშირ-ხშირად, ხან კაცია და ხან ცხვარი.
ხან უცოდველი კრავია, ხანაც — ეშმაკი მელია...
(თუ არ იცხოვრე მოდურად, ისე ცხოვრება ძნელია!)
დღეს, სისხლის ნაცვლად მოდაში არის ლექსების სითეთრე,
ჩხუბში, რძალ-დედამთილები სჯობნიან სიძე-სიდედრებს.
თუ მიეხმარე წაქცეულს, (ზოგ-ზოგის გასაკვირველად),
წამოაყენებ ფეხზე და ცვანტს შენ დაგიდებს პირველად...
ასეა... მოდა იცვლება, ვის ნახავთ მოდის მოშდურავს?
თავს ზევით ძალა არ არის — უნდა ვიცხოვროთ მოდურად!

ვანო ცინცაძე

მ. კორიუნი

გულმავიწყი

ხსნის გარო ჩემოდანს,
საჩუქრებს ალაგებს,
დიდსა და პატარას,
ყველას ამარაგებს:

მეუღლეს — მზა კაბები,
ქალიშვილს — წამწამები,
(ნუ გაგიკვირდებათ,
წამწამიც იყიდება!),

ვაჟიშვილს — ტუფლები,
სიმამრსაც — შარვალი,
სიდედრს (დაბარებით)
სკლეროზის წამალი...

დედისთვის საჩუქარს
ვერავინ ხედავს:
— რა ვქნა, ვერაფერი
ვუყიდე დედას.

არვინ შეაწუხა
სირცხვილის ალმა.
— ო, დედა მოიცდის! —
დაასკვნა რძალმა.

იაფი წვიმა

ქმარი კურორტს გაეშურა,
შემოაწვა გულზე ლოდი, —
ცოლს მისწერა: — დავიღუპე,
აქ ყოველდღე წვიმა მოდის.

ფული წყალში გადავყარე,
მე ეს წვიმა მიღირს ძვირად,
არ მქონია საწყალს ბედი,
ღმერთს ვუნდივარ გასაწირად..

ამცნო ცოლმა:—ჩამობრძანდი,
არ გაადგა ფეხი არსად,
წვიმა აქაც ხშირად მოდის,
სულ იაფად, ჩალის ფასად...

თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა

— რა არის, ერთი წუხილი ს

ნახ. მ. აბაშიძისა



საზოგადოებრივი აზრი საზოგადოებრივ ტრანსპორტზე

გამყიდველ გულსუნდას მეტამორფოზა

დახლთან რომ მივედი, ჩემს წინ შლაპიანი მამაკაცი შევნიშნე, იგი გამყიდველ გულსუნდასაგან მოწოდებულ ნავაჭრს ხელჩანთაში იწყობდა.

— კიდევ რას ინებებთ? — სირინოზის ხმით მიმართა გამყიდველმა.

— ოთხასი გრამი კარაქი, გეთაყვა! — დაუკვეთა მუშტარმა.

— ამ წუთში, ჩემო ბატონო! — ზრდილობიანად უპასუხა გულსუნდამ და დახლის ქვემოდან მარდად ამოიღო პერგამენტის თხელი ქაღალდი, დანით კარაქის ბლოკიდან ოსტატურად მოჭრა შიდა ნაწილი, ქაღალდზე დადო და უზუსტესად აწონა.

— ახლა ორი კილოგრამი შაქარი ამიწონეთ! — სთხოვა მყიდველმა.

— მოგართმევთ! — თავაზიანად თქვა გამყიდველმა და ცელოფანის გამჭვირვალე პარკში ჩაყრილი შაქარი სასწორის პინაზე სათუთად შემოსდო, მერე მყიდველს სურსათის ხელჩანთაში ჩალაგებაშიც უშველა და ნავაჭრის ანგარიში დაიწყო...

ვხედავდი როგორი სიზუსტით ჩადიოდა გამყიდველი საანგარიშო კოჭებს, როგორ შეაჯამა ნავაჭრის ფასი და როგორი ზრდილობით მოითხოვა გადასახდელი თანხა.

კლიენტმა ფული გაუწოდა, გულსუნდამ უკლებლივ დაუბრუნა ხურდა, თან მოხდენილი რევერანსით დაემშვიდობა. ნასიამოვნებმა მომხმარებელმა მოწიწებით გადაუხადა მადლობა და მომსახურებით კმაყოფილი გახარებული გაემართა გასტრონომის გასასვლელისაკენ.

ზემოხსენებული სცენა გასტრონომის მეზობელი სექციების გამყიდველებსაც არ გამორჩენიათ და კოლეგას შეეხმიანენ:

— რა იყო, გულსუნდა! რას გადაყევი იმ კაცს?

— სუ, თქვე დასაყლეტებო! არ გეიგონოს და არ დავიღუპოთ! — დატუქსა კოლეგები გულსუნდამ.

— გეიგონოს და ხახვი არ დამაჭრას ყურებზე! შენ რა, რისი გეშინია? — შეაგულიანა გულსუნდა ერთ-ერთმა მათგანმა და ცხვირი ხალათის გადმობრუნებული კალთით ლაზათიანად მოიწმინდა.

— გაჩერდი, შე გამოტვინებულო, ეს კაცი რევიზორია! — გააფრთხილა გულსუნდამ ამხანაგი.

— ვაი, შე ბოთევ, შენა! რევიზორი კი არა, ჩვენი კლიენტია, ჩვენს ზემოთ ცხოვრობს, მეოთხე სართულზე. ერთი კვირაა რაც ბინა გამოიცვალეს და აქ გადმოვიდნენ. მაგის ცოლი ჩვენთან დაფართხუნობს ყოველ დილას რძისთვის!..

— ვაი, მაგას დეექცეს და ამოუვარდეს ოჯახი! არ მომექცა გოგო, ღრანჭი გვერდზე ამდენი ლაქუცით? — შეიცხადა გულსუნდამ.

მე კი გაკვირკებული მივჩერებოდი გულსუნდა გამყიდველს, — ჩემს თვალწინ კიდევ ერთხელ რომ ანიცდიდა მეტამორფოზას და თავის ძველ მდგომარეობას (ომ უბრუნდებოდა...

ბადრი ტონია

ნახ. პ. ლომიძისა



... თხარა, თხარა და თელასის კაბელი ამოთხარა!.

შური

უძველესი და ძალზე გავრცელებული დაავადებაა. მისი ბაცილები ყველგან ბუდობენ, ადვილად ვრცელდება, გარეგნულად ძალზე წააგავს ცოფს, ავადმყოფი ხან ძაღლივით ილრინება, ხან მგელივით ყმუის.

დაავადებას იწვევს მეზობლის ან მახლობლის რაიმე წარმატება, მაგალითად, დაწინაურება, ბინის მიღება, შვილის ან ავეჯის შეძენა და სხვა.

ავადმყოფი ამ დროს ოხრავს და შფოთავს, უქვეითდება ჭამის მადა, სახე უფითრდება, არ ძინავს. მკურნალობისას უნდა გავითვალისწინოთ დაავადების უცნაური ხასიათი: სენით შეპყრობილს სხვისი სიხარული აწუხებს და მწუხარება ახარებს.

ავადმყოფი ცდილობს გამოიყენოს თვითმკურნალობის მეთოდი:

წერს ანონიმურ წერილებს, ზოგჯერ ამითაც არ კმაყოფილდება და თავს ესხმის ადამიანებს (როცა ავადმყოფობა უმაღლეს სტადიას აღწევს).

მდგომარეობა დროებით შეიძლება გამოსწორდეს, თუ იმ ადამიანს, ვისზედაც ავადმყოფია გაბოროტებული, რაიმე უბედურება შეემთხვა.

ავადმყოფობა საბოლოოდ არასოდეს რჩება, რადგან ბედნიერ ხალხს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე.

ალმანზორ თავაძე

ნ ა რ ე ვ ი

რჩევა-დარიგებანი

● უფროსს ცეცხლზე დადგმულ რძესავით უნდა უყურადო, რა იცი, როდის ადუღდება.

● იყავ ისეთი კაცი, რომ „კაცურის" დამატება აღარ დაგჭირდეს!

● ჩათრევას ჩაყოლა ჯობია, მაგრამ არც ისე უნდა ჩაყვე, რომ ამოსათრევი გახდე!

● ადამიანი რომ ხარ, გიჯერებ, მაგრამ ადამიანობა უნდა დამიმტკიცო!

გ. ბ.

მინიატურები

— **თქვენი** პასუხი არ მომწონს...

— ბატონო პროფესორო, მეც არ მომეწონა თქვენი კითხვა, მაგრამ ხომ არაფერი მითქვამს?!

:

— ნეაპოლში ვიყავი, მაგრამ ვერ დავათვალიერე, უფროსმა შემიშალა ხელი...

— ისიც იყო იტალიაში?

— არა, კაცო, კრებაზე მეძინა და გამაღვიძა.

—:—

ახალგაზრდა პოეტი ეკითხება კრიტიკოსს:

— როგორი აზრის ხართ ჩემს უკანასკნელ პოემაზე?

— შემიძლია აღფრთოვანება გამოვთქვა, თუ ეს მართლა... უკანასკნელია.

—:—

ავადმყოფი ქმარი ეუბნება ცოლს:

— აი, ხომ ხედავ, როცა მე ავად ვარ, როგორი წესრიგია სახლში. შენ რომ ავად გახდები, მაშინვე ყველაფერი აირევა.

გიგლა გახტაძე

ვინ რას ჭამს!

● დოლს — დოყლაპიები.

● კატლეტს — პურის მოყვარულნი.

● სირცხვილს — უსირცხვილოები.

● ფულს — ბაზარი.

ცოფი, თუ წოფი?

მოლარემ ლამპის შუშასავით შემღვრული თვალები მომანათა.

— ერთი ცოფი! — ვუთხარი და ფული მივაწოდე.

— სამასხროთ არ გვცალია, მიბრძანდით იქით! — ვიღაცამ მძლავრად მოქაჩა ჩემი პიჯაკი.

— რას მერჩით, კი არ ვმასხრობ, მართლა მინდა ცოფი! — გამოვთქვი აღშფოთება.

— ვინაა? — ჩემი მისამართით იკითხა ვიღაც მანდილოსანმა.

— რას გადაეკიდეთ ამ კაცს, მართლა ცოფი უნდა! — გამომექომაგა მოლარე.

— ძაღლი ყოფილა! — გააანალიზა ჩემს გვერდით მდგომმა მამაკაცმა.

— რომ არ იყეფება? — შეეჭვდა მანდილოსანი.

— დაიწყებს, ალბათ!

— ცოფი სოფელია მარნეულის რაიონში, მივლინებით მივდივარ იქ! — ვცადე თავის მართლება.

— ცოფი კი არა, წოფი. ეგ ხომ ჩვენი ისტორიის მშვენება, იქ ადამიანის მსგავსი მაიმუნის ძვლებია ნაპოვნი, რაც ერის თვითმყოფადობას ადასტურებს! — ამიხსნა ბოლოს ვიღაცამ.

— მოქალაქე მგზავრებო! — ავტობუსი ცოფი—თბილისი გადის ხუთი წუთის შემდეგ! — საამო ხმით გამოაცხადა დიქტორმა...

— ???

გურამ ნემსწვერიძე

ნახ. მ. ასლამაზიშვილისა

უსიტყვოდ

ნახ. რ. ჯაშისა



უსიტყვოდ

№ 522
16 VIII 79

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტურ ძალებს გამუდმებული კონტროლის ქვეშა ჰყავთ პრესა. მას იყენებენ ფსიქოლოგიური ომის გასაღვივებლად, მშვიდობისა და განიარაღების წინააღმდეგ, ნატოს აგრესიული გეგმების მხარდასაჭერად.

ნახ. ბ. ლომბიძისა

ნახ. ჯ. დეისაძისა



უსიტყვოდ

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმი თავის მეზობელ სახელმწიფოებს ატომური იარაღით ემუქრება.

დამოკლეს მახვილი

მთავარი რედაქტორი ზურლან გემაზაშვილი

საredakcio kolegia: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომბიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე. ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე

● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 23/VI-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/VII-79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 1826 უე 00797 ტირ. 144.000 Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ბ. ბაბაიძე, ა. ალექსეევი, ვ. ახლაძაშვილი, ბ. ლომბიძე, ნ. მალაზონია, ე. ბერაბაშვილი, ბ. ხიხარულიძე, ი. ეფინაშვილი, ნ. ჯაში.